ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 ივნისის №01-07/09 რიგგარეშე
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

2. ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური
რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. „ ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

4. ,, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ” ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველი კატეგორიის უფროსი
სპეციალისტი სოფლის მეურნეობისა და
მთის განვითარების საკითხებში მერაბ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

5. ,, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,
კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა
და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № --

2018 წლის -- ივნისი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში (ვებგვერდი, 01/01/2018, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016233) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა +/-	შენიშვნა
1	-	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	63400	
		შემოსულობების ჯამი	**63,400**	
№	**პროგრამული კოდი**	**ასიგნებების დასახელება**	**თანხა +/-**	**შენიშვნა**
1	03 08	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	7200	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებს ამოკლდა 7200 ლარი და დაემატა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს
	03 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	-7200	
2	01 02	მუნიციპალიტეტის მერია	-12300	არაფინანსური აქტივების ზრდაში ამოაკლდა - 8 000 ლარი (ელექტროტრანსპორტის შეძენაზე გათვალისწინებული თანხიდან) და 4300 ლარი(ვებ სერვერზე), სულ - 12 300 ლარი
			10200	საქონელი და მომსახურება - 10 200 ლარი, მათ შორის: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები 200 ლარი; სატელეფონო მომსახურების თანხა - 3 000 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯი - 4 000 ლარი; ელექტრო ენერგია - 3 000 ლარი;
3	03 02 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი	40000	სუბსიდიების მუხლში თანხის დამატება: საპირფარეშოს აქსესუარები და მოვლა-შენახვა - 2500 ლარი; განათების ქსელზე დაერთებისათვის კაბელის შეძენა - 500 ლარი; სამეურნეო საქონელი - 1500 ლარი; საოფისე ინვენტარი და აღჭურვა აწჰესის ტურისტულ ზონაში - 1600 ლარი; ა/სამრეცხაოს მოწყობა 2 500 ლარი; უნიფორმა ოპერატორებისა და მეპარკინგეებისათვის 700 ლარი; საკანცელარიო საქონელი 600 ლარი; სპეც ა/მანქანებისა და ტრაქტორების მოვლა შენახვა - 7500 ლარი; გარე განათების ელექტრო ენერგიის გადასახადი 3000 ლარი; ხელფასი ა/სადგომის მორიგე 4 ერთეული (4 თვეზე) - 4000 ლარი; საპირფარეშოს დამლაგებელი 4 ერთეული (4 თვეზე) - 4800 ლარი; მძღოლი სპეც ა/მანქანის 1 ერთეული (4 თვეზე)- 2000 ლარი; ოპერატორი 2 ერთერული (4 თვეზე) - 3200 ლარი; ტურისტული ზონის განყოფილების უფროსი 1 ერთეული (4 თვეზე) - 2400 ლარი; ტურისტული ზონის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი 2 ერთეული (4 თვეზე) - 3200 ლარი

4	03 02 04 01	შპს ქედის წყალკანალი	24000	სუბსიდიების მუხლში თანხის დამატება: ღარათის-ქედის მაგისტრალის მიმდინარე რემონტი (წყლის დებეტის გაზრდის მიზნით) - 7500 ლარი; მახუნცეთის მაგისტრალზე წყლის დებეტის გაზრდის მიზნით საჭიროა - 6300 ლარი; გულები-ხუნკუდა-ზესოფელის მაგისტრალზე აბონენტების დაერთება - 3000 ლარი; წყალმომარაგების სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭიროა მუშახელის დამატება (6*200 ლარზე=1200) 1200*6 (თვეზე)=7200 ლარი;
5	03 02 04 05 12	სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა	8000	დაზიანებული სასმელი წყლის სისტემებისათვის პოლიეთილენის მილების შეძენა - მოსახლეობისათვის გადასაცემად
6	05 01 01	ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა	5000	საქონელი და მოსახურება (სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება) თავისუფალი ჭიდაობის სპორტსმენებისათვის სპორტული საწვრთნო შეკრება - 4400; დამატებულ იქნა 600 ლარი - ქედის კიბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით
			27700	შრომის ანაზღაურების მუხლში - 24 600 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 3 100 ლარი.
			-4800	4800 ლარის ამოაკლდა საქონელი და მომსახურების მუხლში (შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში ფეხბურთის მწვრნელების ანაზღაურება ამოაკლდა და გადავიდა საფეხბურთო კლუბში)
7	05 02 03	ა(ა)ი.პ ქედის ისტორიული მუზეუმი		200 ლარის გადატანა მოხდა საქონელი და მომსახურების მუხლიდან არაფინანსური აქტივების მუხლში სახანძრო-საევაკუაციო გეგმის შეძენის მიზნით.
			6000	შრომის ანაზღაურების მუხლში - 3 200 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 2 800 ლარი.
8	05 02 01	ა(ა)ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	18000	არაფინანსური აქტივების ზრდაში - 3000 ლარი (გიტარა -1500 ლარი; ფანდური-500 ლარი; ბასფანდური-500 ლარი; ჩონგური - 500 ლარი;) საქონელი და მომსახურება - 1500 ლარი (ავტომანქანის რემონტისათვის); სოციალური უზრუნველყოფა -1500 ლარი (დეკრეტული შვებულების თანხა); მივლინება ქვეყნის გარეთ - 12 000 ლარი (საქონელი და მომსახურება)
			93400	შრომის ანაზღაურების მუხლში - 79 200 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება -14 200 ლარი

9	05 02 02	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	9060	შრომის ანაზღაურების მუხლში - 5 800 ლარი; ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება დაემატა ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლას - 3260 ლარი (სხვა ხარჯების მუხლი)
10	05 02 01	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	-600	ამოკლებულ იქნა 600 ლარი (ქედის კიბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში) "სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებიდან" და დაემატა ა.(ა)ი.პ. ქედის სასპორტო სკოლას სხვა ხარჯების მუხლში
11	05 01 03	საფეხბურთო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები	29300	"ბავშთა ფეხბურთის განვითარების" მიზნით შპს საფეხბურთო კლუბ ბეთლემის ბაზაზე ბავშთა საფეხბურთო სკოლის შექმნა (ბეთლემი ასპარეზობს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მესამე ლიგაში), რაც საშუალებას მისცემს გუნდის ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტებაში
12	05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	6700	პროექტი "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიია", რომელიც გულისხმობს ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობას სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლის ფარგლებშიც გაიმართება სპორტული, კულინარიული, გასართობი და სახალისო აქტივობები - 6700ლარი;
			-3260	ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ამოაკლდა 3260 ლარი და გადაეცა ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლას
13	03 07 01 02	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის პროგრამა	4900	წყლის რესურსები, რომლის სიუხვითაც მდიდარია აჭარის რეგიონი და განსაკუთრებით ქედის მუნიციპალიტეტი, საჭიროებს ამ რესურსების ეფექტურ გამოყენებას, რადგან ის დატვირთვა, როგორადაც ეს რესიურსები ამჟამად გამოიყენება, არ არის რენტაბელური არც ფერმერისათვის და არც ადგილობრივი ეკონომიკისათვის. თევზსაშენ საწარმოში აუცილებელია ჰიდროინჟინრის რეკომენდაციები, რათა უზრუნველყოფილი იქნას წყალმომარაგების ოპტიმალურობა და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რისკები. რეგიონში დაგეგმილი დარგის განვითარებისათვის მიმართული სხვადასხვა საქმიანობებიდან ერთ ერთი მთავარია ადგილობრივი თევზმწარმოებლების ცნობიერების დონის ამაღლება წყლის ეფექტური გამოყენების საკითხებზე. რათა მათ მიერ მოხდეს გამოყენებული წყლის რესურსების აქტიური, მიზანმიმართული და გაუმჯობესებული ხარისხით გამოყენება, რომელიც გამოადგება როგორც მოქმედ საწარმოებს ასევე დამწყებ ფერმერებს თევზმოშენების მიმართულებით.
14	04 01 01	ა.(ა)ი.პ ქედის ბავშა-ბავშების ეაერთიანება	18000	ელექტრო ენერგიის საფასურისათვის თანხის დამატება 18 000 ლარი (საქონელი და მომსახურება)

14	04 01 01	ბ.(ბ)ბ.ბ ქედის ხაგა ხაძეების გაკეთებასა	166000	შრომის ანაზღაურების მუხლში - 159 700 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება -6 300 ლარი
15	06 01 07 01	სოფელ მეძიბნაში სამედიცინო პუნქტის (და სოფლის სახლის) მშენებლობა და ინვენტარის შეძენა	-53100	53 100 ლარი ამოკლებულ იქნა ტენდერიდან მიღებული ეკონომიის ხარჯზე
16	03 02 03 03	ნაგვის შემგროვებელი ურნების შეძენა სოფლებისათვის ერთეული	-2200	2 200 ლარი ამოკლებულ იქნა ტენდერიდან მიღებული ეკონომიის ხარჯზე
17	03 02 03 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი დანიშნულების საპირფარეშოების მშენებლობა-რეაბილიტაცია	-30000	ღონისძიება ამოღებულ იქნა ბიუჯეტიდან
18	03 02 05 03 08	სამთო ტურიზმის განვითარება (მთების გზები და ბილიკების კეთილმოწყობა - დიდვაკე, მლაშე ნაკონაღვარი ღარათი, ღომა, თიმნარი, და საბადური)	-80000	ღონისძიება ამოღებულ იქნა ბიუჯეტიდან
19	03 02 06 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	-156600	შეიცვალა დაფინანსების წყარო და 140 000 ლარი გადატანილ იქნა კაპიტალური ტრანსფერიდან მისაღებ თანხებში, ხოლო 16 600 ლარი კი ამოკლებულ იქნა ბიუჯეტიდან
20	06 01 07 03	თემის სამედიცინო პუნქტების და ამბულატორიების კეთილმოწყობა	-60000	შეიცვალა დაფინანსების წყარო და 60 000 ლარი გადატანილ იქნა კაპიტალური ტრანსფერიდან მისაღებ თანხებში
ასიგნებების ჯამი			**63,400**	**X**
ს ხ ვ ა ო ბ ა			**0**	**X**

<u>შენიშვნა:</u> აღნიშნული ცვლილების შედეგად ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდა 63 400 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
დასკვნა

დ. ქედა 06.06.2018 წელი

კომისია აღნიშნავს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 მაისის №46 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში განისაზღვრა 2018 წლის 06 ივნისი დღის 18 საათამდე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიაში არ შემოსულა.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ ასკვნის:

ა) მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

ბ) საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

კომისიის თავმჯდომარე
რეზო თურმანიძე

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2018 წლის -- ივნისი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებით (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი:010260020.35.134.016247, 22/01/2018) დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები - თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელება და მათი იერარქიული რანგების ცხრილის „მე-3“, 51-ე“ და „52-ე“ გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3	მერის მოადგილე	1	1800“

„51	IV რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში	10	900
52		მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში	22	650“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია მერის მოადგილის ვაკანტური შტატის გაუქმება და პირველი და მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტების თანამდებობრივი სარგოს ახლიდან განსაზღვრა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტში- **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში** სათანადო ცვლილების განხორციელება რათა სამართლებრივად ახლებურად მოწესრიგდეს **ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები - თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელება და მათი იერარქიულ რანგები**.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დადგენილებით დამტკიცებულ დანართის „მე-3“ გრაფაში „შტატის რაოდენობის სვეტში“ რაოდენობა შემცირდა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად კერძოდ:

„3	მერის მოადგილე	1	1800“

ხოლო ამავე დადგენილების დამტკიცებული ცხრილის „51-ე“ და „52-ე“ გრაფაში ხდება თანამდებობრივი სარგოს სვეტში ცვლილების შეტანა, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„51	IV რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - მერის წარმომადგენლი ადმინისტრაციულ ერთეულში	10	900
52		მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში	22	650“

დადგენილების მეორე მუხლი აწესებს მისი ძალაში შესვლის საკითხებს შემდეგი სახით:

„დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივნისიდან“.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივიბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის
დასკვნა

დ. ქედა 06 ივნისი, 2018 წელი

კომისია აღნიშნავს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 მაისის №39 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2018 წლის 06 ივნისი, დღის 18 საათამდე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიაში არ შემოსულა.

კომისია ასკვნის:

ა) მიზანშეწონილად ჩაითვალოს ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) დამტკიცება.

ბ) საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

კომისიის თავმჯდომარე
ამირანდ ევაძე

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2018 წლის -- ივნისი

დაბა ქედა

„ ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ამირან დევაძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 21 ივნისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 29 ივნისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge) .

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2018 წლის 21 ივნისს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 29 ივნისი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №--

2018 წლის -- ივნისი
დაბა ქედა

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 29/08/2017; სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.134.016222) დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. **დანართის პირველი მუხლის:**

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 2. ამხანაგობის აღრიცხვაზე აყვანის მიზნით, ამხანაგობის თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ქედის მუნიციპალიტეტის მერიას (შემდგომში – ,,მერია“) მიმართავს განცხადებით, რომელსაც თან ერთვის:“.

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ მრავალბინიან სახლში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ერთი ან რამდენიმე სადარბაზოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის, ამ მუხლის მეორე პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ამხანაგობა წარადგენს მერიის თანხმობას.“

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე რამდენიმე მრავალბინიანი სახლის ყველა ბინის მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის, ამ მუხლის მეორე პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ამხანაგობა წარადგენს მერიის თანხმობას.”

2. **დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. მერია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, აღრიცხავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს და გამოაქვს გადაწყვეტილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ან აღრიცხვაზე უარის თქმის შესახებ, რომლის საფუძველზე მერია გასცემს აღრიცხვის ფურცელს.“

3. **დანართის მე-4 მუხლის:**

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ამხანაგობების აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შესატანად, ამხანაგობის თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი პირი მერიას მიმართავს განცხადებით, რომელსაც თან ერთვის:“.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. მერია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განიხილავს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს და გამოაქვს გადაწყვეტილება ამხანაგობის აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანის ან ცვლილებების შეტანაზე უარის თქმის შესახებ.“

4. დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) წინამდებარე წესის პირველი და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტების მერიაში წარუდგენლობა, ან წარმოდგენილ დოკუმენტებში ისეთი არაზუსტი მონაცემების მითითება, რომელიც გამორიცხავს აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე ამხანაგობის აღრიცხვას ან აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების განხორციელებას;“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

განმარტებითი ბარათი

,, ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია ,, ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილების ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა კერძოდ, დადგენილებაში გამოყენებული ორგანიზაციის სახელწოდების „გამგეობა“ -ს ნაცვლად, მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად უნდა მიეთითოს „მერია“.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესში ორგანიზაციის სახელწოდების „გამგეობა“ -ს ნაცვლად, მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად „მერია“-ს მითითება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად ,ცვლილება უნდა შევიდეს დადგენილებით დამტკიცებული დანართის იმ მუხლებში/პუნქტებში, სადაც გამოყენებულია ტერმინი ,,გამგეობა“.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი მალვინა სურმანიძე.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე.

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2018 წლის -- ივნისი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის მიზნობრივი პროგრამა, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის პროგრამა

2018
წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის პროგრამა“

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღები:

,,10 ივნისი“ 2018წ.
,,10 ივლისი“ 2018წ.

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი.

4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარი

4. **პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები**

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარი

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

6. ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი

1) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
2) წერილობითი მოთხოვნა
3) მიღება-ჩაბარების აქტი
4) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია

7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ზოგადად, საქართველო გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატიდან გამომდინარე საკმაოდ მდიდარია ჰიდრორესურსებით, რომლებიც ენერგო და სამელიორაციო დანიშნულების გარდა, ასევე ნაწილობრივ სამეურნეო თევზმოშენებისათვისაც გამოიყენება. ამ მხრივ გამორჩეულად დატვირთულია აჭარის რეგიონი, განასკუთრებილი დატვირთვა კი ქედის მუნიციპალიტეტშია, მთლიანად მუნიციპალიტეტში 68 სხვადასხვა ზომის და წარმადობის საკალმახე მეურნეობაა შექმნილი.

დღეის მონაცემებით, ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების დოკუმენტიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ არსებული საკალმახე მეურნეობების მხოლოდ 8%-ია დატვირთული მეტ-ნაკლებად ინტენსიურად. ხოლო 30% მხოლოდ ტურისტულ სეზონზე მოქმედებს. ამავე დოკუმენტიდან გამომდინარე, არსებული საკალმახე მეურნეობების რეალური პოტენციალის მხოლოდ 13%-ია გამოყენებული 2017 წელს წარმოებული იქნა 184 ტონა თევზი შესაძლო 1209 ტონის ნაცვლად.

წინამდებარე შედეგი განპირობებულია მთელი რიგი მიზეზების გამო:

- ერთერთ მიზეზდ კი გამოიკვეთა სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანით გაჩერებული საწარმოები, მეურნეობები რომლებსაც წყლის მიღების (ჩაშვების) სისიტემა არ აქვთ გამართული, ეს კი, როგორც სტიქიის შემთხვევაში აფერხებს მეურნეობის მუშა პროცეს ასევე სამეწარმეო ციკლსაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს.
- გაუმართავი წყალმიღების სისტემა აფერხებს აუზებში ჩასმის სიმჭიდროვეს, არღევეს კვების რაციონს და ახანგრძლივებს საწარმოო სტანდარტის თევზის მიღების ხანგრძლივობას.
- მუნიციპალიტეტში, მიუხედავად სათევზე მეურნეობის მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელისა, არცერთი საწარმო არ არის ტექნიკურად გამართული, დაგეგმილი და შეფასებული ჰიდროლოგიური რისკებით.
- დაბალია ცნობიერება წყლის მართვის და ჰიდრო რესურსების ეფექტურად გამოყენების შესახებ.

- არსებული მდგომარეობა ასევე საფრთხეს უქმნის იქთიოფაუნის ადგილობრივ სახეობებს, მეურნეობიდან გასული (ჰიბრიდული) კალმახი შედარებით სწრაფად მზარდი მტაცებელი თევზია, რომელიც ანადგურებს მდინარეებში შემორჩენილ ენდემურ სახეობებს .
- წყალაღების და წყალგაშვების მოუწესრიგებელი სისტემა აზიანებს იმ მეურნეობებსაც, რომლებიც ერთმანეთის თანმიმდევრობითაა განლაგებული და არ არის დაცული დისტანციური ზღვარი, ხშირია მეურნეობებში დაავადებების გავრცელების შემთხვევები, რაც თავის მხრივ კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნის მფლობელებს შორის.

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

#	Pპროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	წყლის რესურსები, რომლის სიუხვითაც მდიდარია აჭარის რეგიონი და განსაკუთრებით ქედის მუნიციპალიტეტი, საჭიროებს ამ რესურსების ეფექტურ გამოყენებას, რადგან ის დატვირთვა, როგორადაც ეს რესიურსები ამჟამად გამოიყენება, არ არის რენტაბელური არც ფერმერისათვის და არც ადგილობრივი ეკონომიკისათვის. თევზსაშენ საწარმოში აუცილებელია ჰიდროინჟინრის რეკომენდაციები, რათა უზრუნველყოფილი იქნას წყალმომარაგების ოპტიმალურობა და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რისკები. რეგიონში დაგეგმილი დარგის განვითარებისათვის მიმართული სხვადასხვა საქმიანობებიდან ერთ ერთი მთავარია ადგილობრივი თევზმწარმოებლების ცნობიერების დონის ამაღლება წყლის ეფექტური გამოყენების საკითხებზე. რათა მათ მიერ მოხდეს გამოყენებული წყლის რესურსების აქტიური, მიზანმიმართული და გაუმჯობესებული ხარისხით გამოყენება, რომელიც გამოადგება როგორც მოქმედ საწარმოებს ასევე დამწყებ ფერმერებს თევზმოშენების მიმართულებით.	- ცნობიერების ამაღლება ქედის მუნიცილატეტში მოქმედი მეთევზე ფერმერების წყლის მართვის და რისკების შემცირების შესახებ. - არსებული მდგომარეობის (უკვე მოქმედი) საწარმოებში ახალი ტექნოლოგიური სიახლის დანერგვის ხელშეწყობა, წყლის რესურესების ეფექტურად გამოყენების შესახებ ცოდნის მიწოდება. - ჰიდროინჟინრის კონსულტაციები არსებული მდგომარეობის გამოსწორების შესახებ. -

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით

#	წყაროს დასახელება		2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ
	ძირითადი	ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	4900			4900
	დამატებითი	X	X	X	X	X
	სულ ჯამი		4900			4900

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

#	ღონისძიებების ჩამონათვალი	შესრულების დრო	პასუხისმგებელი	თანხა	შენიშვნა
1	თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროიჟინრული ტექნოლოგიის პროგრამა“	აპრილი-ივნისი	ადმინისტრაციული სამსახური	4900	

10. საანგარიშო პერიოდში პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები:

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის პროგრამა“ილაქტიკური ვაქცინაცია.	II კვარტალი 2018 წელი	ელექტრონული ტენდერი	4900	

პროექტის ბიუჯეტი მთლიანობაში შეადგენს 4900 (ოთხიათას ცხრაასი) ლარს.
დეტალური განაწილება მოცემულია ცხრილში N 1

პროექტის ბიუჯეტი						
	დასახელება	**ზომის ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი (ლარი)**	**ჯამი (ლარი)**	**შენიშვნა**
1	იქთიოლოგი	დღე	2	300	600	
2	ჰიდროლოგი	დღე	3	300	900	
3	კოორდინატორი	დღე	8	200	1600	
4	ბუკლეტის მომზადება, დაბეჭდვა	ცალი	100	15,80	1580	
5	საკანცელარიო	ცალი	1	36	36	
6	საწვავი	ლიტრი	80	2,3	184	
	სულ ჯამი				**4900**	

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2018 წლის -- ივნისი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს:

ა) ,,2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №1-სა.

ბ) ,,2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №2-სა.

გ),,2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №3-სა.

2. დანართი №1, №2, და №3 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ” ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 მაისის №49 განკარგულება.

4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

5. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე

მიზნობრივი პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება

2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი.

01 იანვარი 2018 წელი
31 დეკემბერი 2018 წელი

3. ქვეპოგრამის მთლიანი ბიუჯეტი
ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 65 120 (სამოცდახუთიათასასოცი) ლარს.

4. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროები - ძირთადი - ქედის მუნიციპალიტეტი 65 120 (სამოცდახუთიათასასოცი) ლარს.

5. ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო - ქედის მუნიციპალიტეტის მერია.
6. ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი:
1) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.
2) წერილობითი მოთხოვნა.
3) მიღება-ჩაბარების აქტი.
4) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.

7. პროგრამის აღწერა, მისი აქტუალობის და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

ქედის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროების განვითარება. პრიორიტეტების წარმოჩენისა და ეროვნული ღონისძიებების პოპულარიზაციის მიზნით შესაბამისი გარემოს შექმნა.

8. ქვეპროგრამის მიზნები

ქვეპროგრამის მიზანია 2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება

9. ქვეპროგრამის ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ხარჯი (ლარი)
კულტურულ-საგანმანათლებლო	65120
სულ	65120

10. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 65 120 (სამოცდახუთიათასასოცი) ლარს.

კულტურის ღონისძიებები

N	ღონისძიებების დასახელება	შესრულების დრო	თანხა	შენიშვნა
1	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	წლის განმავლობაში	3151	
2	დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	მარტი	3000	
3	9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე	აპრილი	600	
4	სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსაბლების ოლიმპიადა	აპრილი-ივნისი	2200	
5	9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღე	მაისი	600	
6	26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე	მაისი	2000	
7	8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	აგვისტო	169	
8	სახალხო ზეიმი შემოდგომა ქედაში	ოქტომბერი - ნოემბერი	7000	
9	მასწავლებელთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	ოქტომბერი	2320	
10	საახალწლო -საშობაო ღონისძიებები	დეკემბერი	6000	
11	ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა	წლის განმავლობაში	7400	
12	ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშემწყობი ღონისძიებები	წლის განმავლობაში	4800	
13	ეტალონი	წლის განმავლობაში	6500	
14	მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ღონისძიებებში	წლის განმავლობაში	10000	
15	ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო-თოფუზი“	წლის განმავლობაში	2700	
16	პროექტში „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ - ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობა	წლის განმავლობაში	6680	
სულ			65120	

განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (განკარგულება N49 25/05/2018 წელი) დამტკიცებულია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა. პროგრამაში შეგვაქვს ცვლილება ვამატებთ (პროგრამის მე-16 პუნქტი) ახალ (სხვა მუნიციპალიტეტში გასვლით) ღონისძიებას, კერძოდ - პროექტში „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობა, თანხით 6680 ლარი. შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვროს 65120 ლარით.

პროექტს ახორციელებს ა(ა)იპ „ახალგაზრდული მედია კავშირი“ ორგანიზაცია. იგი მიზნად ისახავს ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობას სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლის ფარგლებშიც გაიმართება სპორტული, კულინარუილი, გასართობი და სახალისო აქტივობები, კერძოდ: პეინტბოლში, კულინარიული დუელში, შეჯიბრება ზიპლაინსა და მშვილდოსნობაში, ასევე ჩემპიონატი ჯომარდობაში საქართველოს პირველობაზე შშმ პირთა შორის. ღონისძიების მსვლელობისას სპეციალურად მუნიციპალიტეტისათვის შეიქმნება ფოტო არქივი, გადაიღებენ და დაამზადებენ ვიდეო-რგოლებს საიტზე განსათავსებლად. ღონისძიებები ჩატარდება ბორჯომში. პროექტში მონაწილეობით შშმ პირებს შესაძლებლობას მივცემთ აქტიურად ჩაერთონ ღონისძიებებში, გაიცნონ და მეტი კომუნიკაცია დაამყარონ ერთმანეთთან, გაცვალონ გამოცდილებები, იმსჯელონ არსებული პრობლემების გადაჭრის გზაზე, მიეცეთ შესაძლებლობა ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლისა. პროექტის საერთო ღირებულებაა 7280 ლარი, მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან დასაფინანსებელი თანხა 6680 ლარი. იხილეთ დანართი ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

პროექტი „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“

პეინტბოლი, კულინარიული დუელი.
გამართვის თარიღი 20 .05. 2018

<u>პეინტბოლის თამაში</u> გაიმართება გუნდური პრინციპით, რომელშიც გამოყენებული იქნება პნევმატური იარაღი ეგრეთწოდებული მარკერი და საღებავიანი ჟელატინის ბურთულები. პეინტბოლი საბრძოლო ქმედებების იმიტაციაა და ტარდება ტყეებში. გაშლილ მოედნებზე სპეციალურად მოწყობილი ბარიერების თანხლებით. ჩვენი ძალისხმევით ეს სახეობაც ხელმისაწვდომი გახდა შშმ პირებისათვის. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ძალიან აზარტული და სახალისო აქტივობაა და მასზე მოთხოვნილება დიდია. ამ აქტივობაში მონაწილეობას იღებენ, როგორც ამპუტანტი და ეტლით მოსარგებლე, ასე, სმენის არმქონე და მცირემხედველი პირები.

მუნიციპალიტეტის ექვსეული იასპარეზებს გუნდური პრინციპით და გაეჯიბრება საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრები შშმ პირებისგან დაკომპლექტებულ გუნდებს. მოთამაშეები იასპარეზებენ მუნიციპალიტეტის მერიის ლოგოთი დაბრენდილი მაისურებით. გამარჯვებული გუნდის წევრებს გადაეცემათ სპეციალური პრიზები.

<u>კულინარიული დუელი</u> - ღონისძიების დასკვნით ნაწილში გაიმართება გუნდებს შორის შეჯიბრი კულინარიაში, სადაც გუნდებმა უნდა მოამზადონ კერძები (სასურველია, საკუთარი კუთხისთვის დამახასიათებელი კერძების მომზადება). ორგანიზატორები უზრუნველყოფენ ყველა საჭირო ინგრედიენტსა და ატრიბუტს. ექსპრომტად შემდგარი ჟიურის წევრები გამოავლენენ გამარჯვებულ გუნდს, რომლის მიერ მომზადებული კერძი როგორც ყველაზე გემრიელი, ასევე, ვიზუალურად ყველაზე ლამაზი იქნება.

ღონისძიების მსვლელობას გადაიღებენ პროფესიონალი ფოტო–ვიდეო ოპერატორები. სპეციალურად მუნიციპალიტეტის მერიისთვის შეიქმნება ფოტოარქივი და მომზადდება ვიდეორგოლი საიტზე განსათავსებლად.

ღონისძიების ბიუჯეტი

	დასახელება	ერთეულის ღირებულება	რაოდენობა	დაფინანსება		
				მერია	დონორის თანა დაფინანსება	საერთო ხარჯი
1.						
1.1.	პროექტის კოორდინატორი	250	1	250	0	250
	ფინანსური მენეჯერი	200	1	0	200	200
1.2.	პეინთბოლის ტურნირის გამართვა საჭირო ატრიბუტიკითა და სხვა საჭირო რესურსის უზრუნველყოფით	600	1	600	0	600
1.3.	კულინარიული დუელის გამართვის უზრუნველყოფა ყველა საჭირო ინგრედიენტითა და ატრიბუტით	200	1	200	0	200
1.4.						
1.5	მაისურების ბეჭდვა	15	6	90	0	90
	ტრანსპორტირება აჭარა–ჩიტახევი–აჭარა	375	1	375	0	375
1.6.	ფოტო გადაღება;დაარქივება;	200	1	200		200
1.7.	ვიდეოგადაღებები(მათ შორის მფრინავი კამერით(მონაწილეთა	200	1	200	0	200

	ინტერვიუების ჩაწერა.					
1.8	ვიდეო რგოლის მომზადება მერიის საიტზე განსათავსებლად	200	1	200	0	200
	სულ			2115	200	2315

შეჯიბრება ზიპლაინსა და მშვილდოსნობაში. გამართვის ადგილი და დრო: ბორჯომი, სოფ. ჩითახევი. 27.05. 2018

ზიპლაინი არის გაჭიმულ ფოლადის კაბელზე თავისუფლად მოძრავი როლერი. სპეციალური აღჭურვილობით მოასპარეზეები ეკიდებიან კაბელზე და ეშვებიან დიდი სისწრაფით, აკეთებენ 2 გზას მდ. მტკვრის სანაპიროებზე. სპორტის ეს სახეობა გარდა აზარტისა და შეჯიბრებითობისა დიდ სიამოვნებასაც ანიჭებს მონაწილეებს. შეჯიბრი ზიპლაინში გუნდებს შორის პირველად 2016 წელს გაიმართა და დიდი მოწონება დაიმსახურა. საქართველოში ზიპლაინი ნელ–ნელა იკიდებს ფეხს. ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით სპორტის ამ სახეობაში ძალები ათობით შშმ პირმა უკვე მოსინჯა. ვისაც არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება და სასტარტო წერტილზე ასვლა მათ ინსტრუქტორები სპეციალური ჯიბესაკიდითა და თოკების მეშვეობით ეხმარებიან. ზიპლაინის აქტივობა ჩატარდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და ცნობილი ადამიანების მონაწილეობით. აქტივობაში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები და იძულებით გადაადგილებული შშმ პირები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, სამშვიდობო მისიებში დაზარალებული ჯარისკაცები, ამპუტანტი, ეტლით მოსარგებლე, სმენის არმქონე და მცირემხედველი პირები. გუნდის წევრები ჩაიცვამენ საკუთარი მუნიციპალიტეტის მერიის ლოგოთი დაბრენდილ მაისურებს.

მათ მოუწევთ სხვადასხვა ბარიერის გადალახვა, მათ შორის მდ. მტკვარზე მოტივტივე ნავში ბურთების ჩაყრა. გამოვლინდება გამარჯვებული ექვსეული, რომლის წევრებიც დაჯილდოვდებიან სიგელებითა და პრიზებით.

ღონისძიება გაშუქდება წამყვანი მედიასაშუალებებით, მომზადდება სოციალური ვიდეორგოლი და განთავსდება როგორც სატელევიზიო ეთერებში, ასე, სოციალურ ქსელებში. თითოეული გუნდის წარდგენისთვის (მუნიციპალიტეტის მერიისთვის) შეიქმნება ინდივიდუალური ფოტო–ვიდეო არქივი და ვიდეორგოლი.

მშვილდოსნობა დიდი პოპულარობით სარგებლობს. ოლიმპიური სპორტის ამ სახეობაში უკვე წლებია, აქტიურად არიან ჩართულნი და პროფესიულ დონეზე ვარჯიშობენ პარასპორტსმენები. თუმცა, მის მიმართ არანაკლები დაინტერესებაა მოყვარული შშმ პირების მხრიდანაც. ამიტომაც ჩვენი ორგანიზაცია დროდადრო პროფესიონალ ინსტრუქტორთა დახმარებით მართავს ტურნირებს მშვილდოსნობაში მოყვარულ შშმ პირებს შორის. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ტურნირები ღია ცის ქვეშ, ბუნებაში, სხვა აქტივობების პარალელურად. ამჯერადაც, პეინტბოლთან ერთად გაიმართება მშვილდოსნობის ტურნირი, რომელიც სხვა აქტივობების მსგავსად გუნდური პრინციპით ჩატარდება და დაითვლება მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი გუნდის წევრი ექვსეულის მიერ დაგროვილი ქულები. გამოვლინდება გამარჯვებული გუნდი და მათ გადაეცემათ სიგელები.

სხვა აქტივობების მსგავსად პროფესიონალი ფოტო–ვიდეო ოპერატორები შექმნიან და მომაზადებენ არქივებსა და ვიდეორგოლს მხარდამჭერისთვის.

ღონისძიების ბიუჯეტი

	დასახელება	*ერთეულის ღირებულება*	*რაოდენობა*	დაფინანსება		
				მერია	დონორის თანა დაფინანსე	საერთო ხარჯი

					ბა	
1.						
1.1.	პროექტის კოორდინატორი	250	1	250	0	250
	ფინანსური მენეჯერი	200	1	0	200	200
1.2.	ზიპლაინის შეჯიბრის გამართვის უზრუნველყოფა ყველა საჭირო ატრიბუტიკის გამოყენებით.	600	1	600	0	600
	მშვილდოსნობის ტურნირის უზრუნველყოფა	375	1	375	0	375
	ტრანსპორტირება აჭარა–ჩიტახევი–აჭარა	375	1	375	0	375
1.3.						
1.4.	2 ჯერადი კვება	30	6	180	0	180
1.5	მაისურების ბეჭდვა	15	6	90	0	90
1.6.	ფოტო გადაღება;დაარქივება;	200	1	200	0	200
1.7.	ვიდეო გადაღებები(მათ შორის მფრინავი კამერით) ინტერვიუების ჩაწერა	200	1	200	0	200
1.8	ვიდეო რგოლის მომზადება მერიის საიტზე განსათავსებლად	200	1	200	0	200
	სულ			2470	200	2670

ჩემპიონატი ჯომარდობაში საქართველოს პირველობაზე შშმ პირთა შორის. გამართვის ადგილი და დრო: ბორჯომი, სოფ. ჩითახევი. 10.06.2018

საქართველოს ჩემპიონატი ჯომარდობაში ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივითა და ორგანიზებით წლებია იმართება და სულ უფრო მოთხოვნადი ხდება. ჩვენს მიერ შექმნილი სპეციალური კონსტრუქციით სადღეისოდ უკვე 2 საჯომარდო ნავია ადაპტირებული. სწორედ ამ კონსტრუქციების დახმარებით საწყლოსნო სპორტის ამ სახეობაში მონაწილეობა 300 ზე მეტ შშმ პირს აქვს მიღებული. მათ შორის უსინათლო, ეტლით მოსარგებლე და ამპუტანტ შშმ პირებს.

წელსაც, ტრადიციისამებრ ბორჯომის ხეობაში გაიმართება ჯომარდობის ჩემპიონატი საქართველოს პირველობაზე და მასში მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრები შშმ პირები მიიღებენ. თითოეული მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იქნება 6 ბენეფიციარით, მოთამაშეები იასპარეზებენ მუნიციპალიტეტის მერიის ლოგოთი დაბრენდილი მაისურებით. ტურნირი ტარდება რამდენიმე ეტაპად, სხვადასხვა დისციპლინაში გამარჯვებულები ფინალში ხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებული გუნდი ეუფლება გარდამავალ თასს, რომელიც 2012 წლიდან გადაეცემა გამარჯვებულ ექვსეულებს. ღონისძიება გაშუქდება წამყვანი მედიასაშუალებებით, მომზადდება სოციალური ვიდეორგოლი და განთავსდება როგორც სატელევიზიო ეთერებში, ასე, სოციალურ ქსელებში.

თითოეული გუნდის წარდგენისთვის (მუნიციპალიტეტის მერიისთვის) შეიქმნება ინდივიდუალური ფოტო–ვიდეო არქივი და ვიდეორგოლი.

ღონისძიების ბიუჯეტი

	დასახელება	ერთეულის ღირებულება	რაოდენობა	დაფინანსება		
				მერია	დონორის თანადაფინანსება	საერთო ხარჯი
1.						
1.1.	პროექტის კოორდინატორი	250	1	250	0	250
	ფინანსური მენეჯერი	200	1	0	200	200
1.2.	„რაფტინგ ჯი"–ს მომსახურება	600	1	600	0	600
	ტრანსპორტირება აჭარა–ჩიტახევი–აჭარა	375	1	375	0	375
1.3.						
1.4.	2 ჯერადი კვება	30	6	180	0	180
1.5	მაისურების ბეჭდვა	15	6	90	0	90
1.6.	ფოტო გადაღება;დაარქივება;	200	1	200	0	200
1.7.	ვიდეო გადაღებები(მათ შორის მფრინავი კამერით)ინტერვიუების ჩაწერა	200	1	200	0	200

1.8	ვიდეო რგოლის მომზადება მერიის საიტზე განსათავსებლად	*200*	*1*	*200*	*0*	*200*
	სულ			**2095**	**200**	**2295**

სულ 5 აქტივობა–

1.ჯომარდობა

2.ზიპლაინი

3.პეინტბოლი

4.მშვილდოსნობა

5.კულინარიული დუელი.

პროექტის საერთო ღირებულება 7280 ლ.

მერიიდან მოთხოვნილი თანხა 6680ლ.